



გენდერული თანასწორობა გამართლებულია?



ბავშვის უზღაბა - მოუსმინონ. გვ. **3-4**
„ბავშვთა უფლებების დაცვის მხრივ ჩვენ ქვეყანაში მძიმე მდგომარეობა“

არის თუ არა ღალატი პრობლემაზე საუბარი?! გვ. **6**
„რამდენად არის მზად დღეს საჯარო სკოლები სამოქალაქო ღირებულებების ხელშეწყობისთვის?“

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება გვ. **5**
„არის თუ არა ციხე ჭკუის სასწავლებელი ადგილი?“

ლიდარი თუ იდეოლოგია?! გვ. **8**
„ჩვენში, პოლიტიკური არჩევანისას გადამწყვეტი როლი პოლიტიკოსის ქარიზმატულობას ენიჭება“...

ქალაღობა ბავშვზე



ქალაღობა ეს არის თემა, რომელიც გოლო დროს განსაკუთრებით აქტუალური გახდა. მასზე საუბრობენ ყველაზე საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ბაჩრაბაზზე, ტელევიზორით თუ მასმედიის სხვა საშუალებებით, ბავშვები, მშობლები, პედაგოგები... რაც ყველაზე მთავარია, ყველა თავი-საპური ინტერაქტივით ხსენს ამ ტერმინის მნიშვნელობას.

ვფიქრობთ, ჩვენთვის, მოზარდებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზუსტად ვიცოდეთ ამ სიტყვის ლექსიკონი. ამიტომაც, გთავაზობთ ბაიბლიკურად დაფუძნებულ ორგანიზაციის ბავშვთა უფლებების კომიტეტის №13 ზოგადკომენტარს (მიღებულია 2011 წლის 56-ე სესიისა, 7 იანვარი - 4 თებერვალი), რომელიც „ბავშვთა უფლებების კონვენციის“ მე-19 მუხლს – „ბავშვის უფლებაა დაცული იყოს ყველა ფორმის ქალაღობისგან“, ქალაღობას განმარტავს შემდეგნაირად:

ბავშვთა მიმართ ძალადობა არის ყველა ფორმის ფიზიკური თუ მენტალური ძალადობა, დაზიანება, შეურაცხყოფა, უფლებებელყოფა, გულგრილი დამოკიდებულება, არასათანადო მოპყრობა, ექსპლუატაცია და სექსუალური ძალადობა. კომიტეტის დასკვნის თანახმად, ხშირად ბავშვთა მიმართ ძალადობის გაგებას ავინრობენ ფიზიკური ძალადობის ან ბავშვისთვის მიზანმიმართული ზიანის მიყენების ცნებებზე, რაც დაუშვებელია. ბავშვთა მიმართ ძალადობა აუცილებლად მოიცავს არაფიზიკურ და განზრახვის არმქონე ზიანის ფორმებსაც ბავშვთა მიმართ. მათ შორის, ბავშვთა უფლებებელყოფასა და არასათანადო მოპყრობას.

- **უფლებებელყოფა და გულგრილი დამოკიდებულება:** როდესაც არ აკმაყოფილებენ ბავშვების ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ საჭიროებებს, ვერ იცავენ საფრთხისგან; მათ სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფაზე უარს ამბობენ, დაბადების რეგისტრაციასა თუ სხვა აუცილებელ მომსახურებას ვერ აკმაყოფილებენ მაშინ, როდესაც მათზე პასუხისმგებელ პირებს აქვთ ამის საშუალება, ცოდნა და ინფორმაცია. აღნიშნული უფრო კონკრეტულად მოიცავს შემდეგს:
- **ა) ფიზიკური უფლებებელყოფა** — ბავშვების ზიანისგან დაცვის ვერუზრუნველყოფა, ზედამხედველობის ნაკლებობა; საკვების, თავშესაფრის, სამოსისა და ძირითადი სამედიცინო მომსახურების მიუწოდებლობა;
- **ბ) ფსიქოლოგიური ან ემოციური უფლებებელყოფა:** ემოციური მხარდაჭერის და სიყვარულის გამოხატვის ნაკლებობა, ქრონიკული უყურადღებობა; მომვლელი, რომლებიც ვერ ამჩნევენ ბავშვების მიმანიშნებელ სიგნალებს იმის თაობაზე, რომ მათ უჭირთ; რომ ბავშვები თანატოლების მხრიდან ძალადობის, ნარკოტიკის ან ალკოჰოლის გამოყენების მსხვერპლნი არიან;
- **გ) ბავშვების ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის პრობლემების უფლებებელყოფა:** არ აწვდიან საჭირო სამედიცინო დახმარებას;
- **დ) საგანმანათლებლო საჭიროებების უფლებებელყოფა:** მომვლელი ვერ ასრულებენ კანონის მოთხოვნებს, რომელთა თანახმადაც მათ ეკისრებათ მოვალეობა, უზრუნველყონ ბავშვებისთვის განათლების მიღება.
- **ე) მიტოვება:** პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით უარყოფით ზეგავლენას ახდენს მოზარდებზე, მათ შორის ქორწინების გა-

რეშე დაბადებულ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებზე.

- **მენტალური ძალადობა** — არასათანადო მოპყრობა, ფსიქოლოგიური ძალადობა, სიტყვიერი და ემოციური ძალადობა, რომელიც მოიცავს:
 - ა) ნეგატიურ ურთიერთობას ბავშვთან: ჩვენება, რომ ბავშვი არაფერს წარმოადგენს, იგი არ უყვართ, მისი არსებობა არასასურველია, რომ მას საფრთხე ემუქრება;
 - ბ) ბავშვის შეშინებას, დაშინებას, მუქარას, უსამართლოდ მოქცევას ბავშვის მიმართ, უპატივცემულობის გამოხატვას, მისი პიროვნების უარყოფას; ბავშვის იზოლირებას, იგნორირებასა და ფავორიტად აღიარებას (სხვა ბავშვების ხარჯზე);
 - გ) ემოციური მოთხოვნილებების უპასუხოდ დატოვებას;
 - დ) შეურაცხყოფას, დამამცინებელი სახელების შერქმევას, დამცირებას, ცინიკურ დამოკიდებულებას, ბავშვის გრძობების შელახვას;
 - ე) ოჯახური ძალადობისგან დაცვის ვერუზრუნველყოფას;
 - ე) მარტო განთავსებას, იზოლაციას, დამამცირებელ პირობებს თავისუფლების შეზღუდვის ადგილას;
 - ე) ბულინგს, დამცირებას სხვა ბავშვების წინაშე;
- **ფიზიკური ძალადობა, რომელიც გულისხმობს ფატალურ ან არაფატალურ ფიზიკურ ძალადობას:**
 - ა) ყველა ტიპის სხეულბრძოლი სასჯელი და სხვა ფორმის წამება, სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა. დასჯა, რომელიც გულისხმობს რაიმე ტიპის ფიზიკური ძალის გამოყენებას და მიმართულია ბავშვისთვის ტვივილისა და ზიანის მისაყენებლად, რაც არ უნდა მსუბუქი ხასიათი ჰქონდეს მას. დარტყმა (წამორტყმა, სილის განწა, საჯდომზე დარტყმა) ხელით, ნაჭრით, ჯოხით, ქამრით, ფეხსაცმლით, ხის საგნით და ა.შ. ფეხის დარტყმა, შეჯანჯლარება, მიხეთქება, დაფხაჭნა, ბნკენა, კბენა, თმის მოქაჩვა, ყურის აწევა, გაჯოხვა; ბავშვის იძულება, გაჩერდეს მოუხერხებელ პოზაში/პოზიციაში, დამწვრობის მიყენება და ა.შ. რა თქმა უნდა, ეს არ არის ამომწურავი ჩამონათვალი სხეულბრძოლი სასჯელის ფორმებისა;
 - ბ) ფიზიკური დამცირება უფროსებისა თუ სხვა ბავშვების მიერ.
- **სექსუალური ძალადობა და ექსპლუატაცია,** რომელიც გულისხმობს ბავშვთა პროსტიტუციას, ტრეფიკინგს, სექსუალურ ზნს, ბავშვთა გაყიდვას, იძულებით ქორწინებასა და ა.შ.
- **წამება და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა:** აღნიშნული მოიცავს ყველა ფორმის ძალადობას ბავშვების მიმართ აღიარების მისაღებად; კანონით გაუთვალისწინებელ დასჯას არაკანონიერი და არასათანადო საქციელისთვის; ბავშვის ნების საწინააღმდეგოდ რაიმე აქტივობაში მონაწილეობის იძულებას, რომელიც შესაძლებელია გახორციელდეს პოლიციის, ბავშვთა სახლების (რეზიდენტული დანესტრუქტურების) პერსონალისა და იმ პირების მიერ, რომელთაც აქვთ ბავშვების მიმართ ძალის გამოყენების შესაძლებლობა. აღნიშნულის მსხვერპლად ხდებიან ის ბავშვები, რომელთა უფლებები და ჭეშმარიტი ინტერესი არ არის დაცული პასუხისმგებელი პირების მიერ.
- **ბავშვთა შორის ძალადობა** გულისხმობს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სექსუალურ ძალადობას, ბავშვების მიერ ერთმანეთის დამცირებას. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვთა შორის ძალადობისას მოქმედი პირები არიან ბავშვები, ამ შემთხვევაშიც, გადამწყვეტი უფროსების პასუხისმგებლობა, რომლებმაც უნდა განახორციელონ ადეკვატური რეაგირება: მოახდინონ ძალადობის პრევენცია და არ გაამწვავონ ძალადობა სადამსჯელო ღონისძიებებით; არ შეეცადონ ძალადობითვე ძალადობის აღკვეთას.



„ბავშვის უფლება — მოუსიონო“

საქართველოს სახალხო დამცველის ბავშვისა და ქალის უფლებების ცენტრმა ევრო-საბჭოს პროექტის „სასამართლო რეფორმის, ადამიანისა და უმცირესობათა უფლებების ხელშეწყობა“ მხარდაჭერით, გამართა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია: – „ბავშვის უფლება — მოუსიონო.“

კონფერენციის მიზანი იყო, ბავშვთა ჩართულობის გაზრდა იმ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომელიც მათ ცხოვრებას და განათლებას ეხება. ასევე, სახელმწიფო უწყებების მიერ ბავშვთა მონაწილეობის უზრუნველყოფა, მათი მოსაზრებების გათვალისწინება ბავშვთა პროგრამების დამუშავებისა და გახორციელების პროცესში.

კონფერენციას წინ უძღოდა კონკურსი, რომელშიც, საქართველოს სხვადასხვა ქალაქების მოზარდებთან ერთად, ლიდერთა სკოლის 8 მოსწავლე მონაწილეობდა. საბოლოოდ გამარჯვებულმა ქ. თბილისში ქორთაირდ მარიოტში საქართველოს მთავრობის წევრების წინაშე (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, ასევე ბავშვის უფლებათა დაცვის სფეროში მომუშავე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, საჯარო სკოლების დირექტორები, პედაგოგები, სახელმწიფო უწყებათა ხელმძღვანელები) წარადგინეს გამარჯვებული თემები.

ლიდერთა სკოლიდან კონფერენციაში 3 გამარჯვებული მოსწავლე – ანი დოლიძე, ვერიკო მელუა და თამარ ხუხია მონაწილეობდნენ.

საკონფერენციო თემებს მთავრობის წევრების მხრიდან არაერთგვაროვანი რეაქციები მოჰყვა. კონკრეტული ფაქტებისა და პრობლემების დასახელება მიუღებელი აღმოჩნდა მათთვის.

კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ხელისუფლებას, რბოლად რომ ვთქვათ, აღიზიანებს საჯაროდ პრობლემებზე საუბარი, თანაც ბავშვების მხრიდან, არადა მსგავსი კონფერენციები ხომ პრობლემების გაზიარებისა და

მისი გადაწყვეტის გზების ძიებისთვის საუკეთესო საშუალებაა.

ზედამირწმუნა მათი სიტყვები მოზარდებში კრიტიკული აზროვნების განვითარების აუცილებლობისა და სამოქალაქო ღირებულებების დამკვიდრების შესახებაც.

ამის ნათელი მაგალითი იყო კონფერენციის მონაწილე ბავშვებსა და მთავრობის წევრებს შორის წარმოშობილი ინციდენტი. მათ გასაგონად კიდევ ერთხელ ვიტყვი: „ბავშვის უფლება — მოუსიონო“.

თამარ ხუხია



კონფერენციაზე გამარჯვებული თემა

არასათანადო მოპყრობა ბავშვების მიმართ

მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის ბავშვის უფლებების კონვენციას მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა შეუერთდა, ბავშვთა უფლებების დაცვის მხრივ ჩვენს ქვეყანაში მაინც მძიმე მდგომარეობაა.

ძალადობა დაუშვებელია და ამას ყველა აღიარებს, თუმცა ამ სიტყვის დეფინიცია ისე, როგორც ამას გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტი აკეთებს, საქართველოში გაცნობიერებული არ არის.

ძალადობის ფორმებად აღიქმება მხოლოდ ფიზიკური შეხება, სიტყვიერი შეურაცხყოფა, ასევე სექსუალური ძალადობა. ბავშვთა მიმართ ძალადობა აუცილებლად მოიცავს არაფიზიკურ და განზრახვის არმქონე ზიანის ფორმებსაც ბავშვთა მიმართ. მათ შორის, ბავშვთა უფლებების დაცვის მიზნით არასათანადო მოპყრობას, პედაგოგის, ან კიდევ მშობლის, ზოგადად უფროსის მხრიდან არასათანადო მიმართვა კი ძალადობის ფორმად კვალიფიცირდება...

ყოველდღე ვისმინებ ტელევიზიით თუ როგორ მოკლა დედამ შვილი, ან არასრულწლოვანმა თანატოლი დაჭრა, ან კიდევ უარესი – როგორ ჩამორთვეს დედას შვილი იმ მიზეზით, რომ ის ყოველდღე მძიმე ძალადობის მსხვერპლი იყო. ჟურნალისტებს სასაქარაოზე გამოაქვთ, თუ რა გაუსაძლის პირობებში ხვდებიან და ცხოვრობენ ბავშვები, ასევე, მათზე უფროსების მხრიდან ძალადობის ფაქტები.

არსებობენ კეთილშესრულე ადამიანები, რომლებიც უნებლოდ შეცდომის მსხვერპლი ხდებიან. ანუ აშუქებენ კონკრეტული ბავშვის ისტორიას და ხშირად არ იცავენ ბავშვების კონფიდენციალობას.

ძალიან მნიშვნელოვანია, იმ ასპექტების გათვალისწინება, როგორ ხდება საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება.

სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში ჟურნალისტები, კონკრეტული ფაქტების გაშუქების გარდა, მათი განზოგადებითაც არიან დაკავებული.

ზოგჯერ გულწრფელ გაღიზიანებას იწვევს მასმედიის საშუალებების მიერ ადამიანური ტრადიციების წარმოჩენის სტილი. ბავშვი – მსხვერპლი, ბავშვი და ძალადობა, თუმცა უნდათ თუ არა მათ, რომ ტელე თუ საგანზე სიუჟეტების მთავარი გმირები იყვნენ, არაფერს ეკითხება. იქნებ ბავშვებს არ სურთ საცოდავები ჩანდნენ, იქნებ ამგვარი წარმოჩენა მურაცხყოფას აყენებს მათ. ისინი ბავშვური ასაკის გამო ვერ აცნობიერებენ პრობლემას და ზრდასრულობის ასაკში აუცილებლად გაუჩნდებათ პროტესტი, თუმცა წარსულს ვეღარ შეცვლიან.

ჩვენც იგივეს არ ვიგრძნობდით მათ ადგილას?

აქვე, გვინდა შეგახსენოთ საჯარო სკოლების ტიპური წესდების მიზანი: „ეროვნული და ზოგადსაქართველოში ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი, თავისუფალ და დემოკრატიული გამოზრდის პირობების ჩამოყალიბება“ ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთი მოზარდის აღზრდას უნდა ესმას ურთიერთდღეს სკოლა, თუმცა ხშირ შემთხვევაში ეს შეუძლებელი ხდება.

სკოლებში ყოველდღიურად გვხვდებით მონღოლ ძალადობის სხვადასხვა ფორმების გამოვლენისა – როდესაც პედაგოგი, იმის გამო, რომ მოსწავლემ გაკვეთილი არ იცის, ან კიდევ დავალებს არ უწერია სამინილო სიტყვებით მიმართავს, ლანძღავს და წყევლის მას.

მოსწავლეს აღმსარებლობის გამო შეურაცხყოფას აყენებს, ასევე დამორგუნელებად მოქმედებს მოსწავლეებზე, როდესაც თავად პედაგოგებს შორის არის კონფლიქტური სიტუაცია, კლასის, ან კიდევ საათების გამო ჩხუბობენ, ის რომ სკოლებში დარღვეულია საბავშვო პირობები, გათხოვნი, სველი ნერტილობის, სან/პიგიუნური ნორმების, კვების ობიექტებისა და ჯანდაცვითი პრობლემებით. მსგავსი პირობების გამო, სოც.მუშაკებს ოჯახებიდან გამოპყობენ ბავშვები.

გურიაში 100-მდე სკოლაა და გარემონტებულია მხოლოდ 20. ამ შემთხვევაშიც კი არათანაბარ პირობებში იმყოფებიან მოზარდები და ეს ძალიან ცუდია.

როდესაც შესაძლებელია დაგაინფიცინო და ფისი გასაწმენდი ჩერის მიტანა სკოლაში (რომელიც წინა დღეს მასწავლებელმა დაგაბარა, მიუხედავად იმისა, რომ შენ არ დაგიკარგია და შესაძლოა სულაც დამლაგებელმა გადაადგო) და ამის გამო დაფის გასუფთავება საკუთარი ტანსაცმლით მოგინიოს, შესაძლოა, მუხლებზე დაგაჩოქოს და ბოდიში ისე მოგახდევინოს და ა.შ. ფაქტები კიდევ უფრო შემზარავია, ვიდრე მასმედიის სხვადასხვა საშუალებებით გამოქვებული სიუჟეტები. უფრო შემაშფოთებელი კი ის გარემოებაა, რომ ამგვარ ქმედებებს უყურადღებოდ ვტოვებთ, ვერ ვებედავთ ხმაბალსა საუბარს, იმის გამო, რომ მასწავლებელი სულ ჩვენზე ისაუბრებს, რომ ენაგრძელები და უზრდელები ვართ, რახან მისი ქმედება გავაკრიტიკეთ, არც სახლში მოგვიპოვებენ საქციელს – მასწავლებელს შენს გამო რომ საყვედური უთხრან, ვერ გადაიმორჩები, ამას კლასელების გაღიზიანება დაემატება – რა გინდობა, იყვირებს. გაგვლანძლავდა და დანყნარდებოდა, ახლა კი მთელი კვირა ამაზე ილაპარაკებს და ნიშანს არ გვაღიროებს არც ერთსო.

ამ დროს სამოქალაქო შეგნებას თუ ცნობიერებას რა მოგუხერხობთ, არ ვიცი... ამიტომაც ჩვენც ისე ვქცევით, როგორც მასწავლებლებს, მშობლებს და კლასელებს „მოსწონთ“. ძალადობის კუთხით მრავალ პრობლემას ვაწყვედებით სიღარიბის ზღვარის ქვევით მცხოვრებ ოჯახებში. ასეთი ოჯახის შვილებს არ აქვთ საკვები, ზამთარში სითბო, უფრო მეტიც, სკოლაშიც კი ვერ დადიან არასაკმარისი სიზო-ნური ტანსაცმლის გამო. ის, რომ ბავშვები არ არიან კარგად ჩაცმული და მოვლილი ქუჩაში და სკოლაშიც კი, მათ მიმართ დამოკიდებულება არცთუ სახარბიელოა.

უმეტესად ასეთი ოჯახებში უფროს თაობას არ აქვს საკუთარი თავისა და ბავშვის მოვლის უნარი. სათანადო ინსტიტუტი და აკადემიური განათლება. არ გააჩნიათ ფუნქციონ-სოციალური უნარები, როგორც ამას სოც.მუშაკები ეძახიან.

არასათანადო მოპყრობა ბავშვების მიმართ

დასაწყისი გვ.3

რამდენი სოციალურად დაუცველი ბავშვი არსებობს ჩვენს რეგიონში? ამ სტატისტიკის მოპოვება მუშაობის ალ-მორნდა.

გურიის სოციალური მომსახურების სა-გენერალური ინფორმაციით: „გამზადებული სტატისტიკა არ არსებობს და ამას ბევრი კვლევა სჭირდება.“

თუ კვლევა არ არსებობს, ცხადია, არ არსებობს საჭიროების შესაბამისი სერვისიც, რომელიც რეალურად გააუმჯობესებს ბავშვების კეთილდღეობას.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ სამთავრობო სტრუქტურებს არ აინტერესებთ რეგიონში ბავშვთა მდგომარეობა. ისინი მხოლოდ ხელფასის გამო მუშაობენ, მათი მოტივაცია – შეცვა-ლონ რაიმე უკეთესობისკენ – არის ძალიან დაბალი, რაც, ჩემი აზრით, სამსახურებრივი მოვალეობის არასრულფასოვან შესრულებაზე მიუთითებს. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართვე-ლების წარმომადგენლებს წარმოადგენს კი არ აქვთ მათ რეგიონში სოც.მუშაკების ინს-ტიტუტი დაწესებული თუ არა და შესაბამისად არ გამოდის თანამშრომლობაც. არც საჯარო სკოლები ფლობენ ინფორმაციას სოც.მუშაკე-ბის როლსა და ფუნქციასზე, აქვე იმასაც ვიტყ-ვი, რომ თავად სოც. მუშაკებმაც არ იციან რიგ შემთხვევებში მათი უფლება-მოვალეობე-ბი. ასევე არასაკმარისია სოც.მუშაკების რაო-დენობა.

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, სა-

და პატარები უპატრონოდ, უმეტეადაა უწყურად დარჩენ.

არანაკლებ საინტერესოა მეორე ქეისი, რომელიც 10 წლის ბიჭის ისტორიას ასახავს. **რ. მ. 10 წლისა, მისი ოჯახი სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს განიცდის. დედა შეზღუდული შესაძლებლობისაა, არის ალკო-ჰოლის სისტემატური მომხმარებელი. მეზო-ბლების ინფორმაციით ბავშვი თითქმის ყოველ-დღიურად ფიზიკური, თუ ემოციური ძალადო-ბის ქვეშ ცხოვრობს. ის არაერთხელ გამხდარა არასახარბიელო სცენების მომხსრე (დედასთან იკრიბებიან ამორალური ქცევის ადამიანები), თუმცა თავადაც მოძალადეა. მასაც ხშირად უტყემა დედა.**

რ.მ.-ს ყველა საბავშვო მოთხოვნებზე უგულვებელყოფილია (არ აქვს ტანსაცმელი, საკვები, დასაძინებელი). მას ხშირად მეზო-ბლის „სალორეში“, ან კიდევ თავის ეზოში ნახევრადდაცარული სახლის სვეტზე სძინა-ვს.

არ აქვს შესაძლებლობა და სურვილი ია-როს სკოლაში, არ იცის სერა-კითხვა, არ ჰყავს მეგობრები. მისთვის საჭირო ყოველდღიურ თანხას მათხოვრობით გამოიმუშავებს. ის უკვე ალკოჰოლსა და სიგარეტზე დამოკიდებული გახდა.

ამ ბიჭის ისტორია ძნელი მოსასმენი და კიდევ უფრო ძნელი სანახავია. 2009 წელს ორგანიზაცია „ახალგაზრდა პედაგოგთა კა-ვშირმა“, რომლის ბაზაზეც ჩვენი სკოლა ფუნ-ქციონირებს, ლიდერთა სკოლის მოსწავლეებ-

ყანაში და რეგიონშიც არ არსებობს კონსტრუ-ქციული თანამშრომლობა ამ სამ ინსტიტუციას შორის. მათ მიერ განხორციელებული არის ფრაგმენტული და შედეგიც იმიტომ არ მოა-ქვს.

სწორედ ამიტომ:
1. უნდა მოხდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა უფლებების კომიტეტის №13 ზოგადი კომენტარის გაცნობა

საჯარო სკოლების ბენეფიციართათვის (დირექციის წარმომადგენლები, პედაგოგები, მშობლები, მოსწავლეები)

- ურუნალისტიკისთვის
- სოც. მუშაკებისთვის
- საზოგადოებისთვის მასმედის საშუალებით უნდა მოხდეს ინფორმაციის მიწოდება (სოც. რეკლამის, დისკუსიების, შეხვედრების, აქტივებისა და სხვა საშუალებებით).

2. სახელმწიფოს მხრიდან უნდა გაძლიერ-დეს სოციალური და ეკონომიკური პრობლემე-ბის მქონე ოჯახების დახმარების ფულადი ხარ-ჯები და სარეაბილიტაციო პროგრამები (მაგ: პრევენციის პროგრამა, რომელიც ამ ეტაპზე შეწყვეტილია, და ჩვენ სამუხაროდ ვერ მივი-ღეთ კითხვაზე პასუხი რატომ?)

საჭიროა, სახელმწიფო სტრუქტურებმა გამოიყენონ არასამთავრობო ორგანიზაციე-ბის, ეკლესიის რესურსი, რათა მათი საშუალებით გაძლიერდეს ოჯახის თანადგომის ქსელი.

• ქვეყანაში და რეგიონშიც განვითარდეს სოც.მუშაკის ინსტიტუტი. აუცილებელია მათ კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა, ესენი



ზოგადობის ინდიფერენტულობა, მათი მო-რალური და იურიდიული პასუხისმგებლობა, როდესაც მეზობელი ვერ აცნობიერებს, რომ მის მეზობლად გახორციელებული ძალადობის ნებისმიერი ფორმის დაფარვა კანონით ისჯება და თვითონაც პროცესის თანამონაწილე ხდე-ბა.

ამ და კიდევ ბევრი მიზეზის გამო ვაწყდე-ბით ოჯახური ძალადობის სხვადასხვა ფორმე-ბს. გვინდა კონკრეტული ისტორიები წარმო-გვიდგინოთ:

გ.წ. ოჯახში მიძიმე სოციალური და ეკო-ნომიკური მდგომარეობაა. დედამ მიატოვა 7 შვილი და გათხოვდა, მამას ფსიქიკური პრო-ბლემები აქვს და სახლში იშვიათად დადის, მცირე-ნაწილიდან ბავშვებს უფროსი და პატრონობს. მეზობლები იშვიათად, მაგრამ მინაც ახერხებენ საკვების მიწოდებას მათთვის.

გარკვეული დროის წინ ოჯახის შესახებ დოკუმენტური ფილმი მომზადდა (ახალგაზრ-და პედაგოგთა კავშირი), ფილმის მომზადების პროცესში აღმოჩნდა, რომ გ.წ. ოჯახს სახელ-მწიფოსგან არანაირი დახმარება არ ეძლეოდა, გარდა ბებიის პენსიისა, რომელიც 75 ლარს შეადგენდა. თუმცა იმ პერიოდში შესაძლებელი იყო ოჯახს თვეში 1200 ლარი ფინანსური დახ-მარება მიეღო სახელმწიფოსგან სხვადასხვა სოც. პროგრამებიდან თანხის სახით.

მაგრამ, იმის გამო, რომ ბავშვებს არ ჰქონდათ დაბადების მოწმობები (ისინი ამის გამო სოციალურად შეჭირვებულთა ბაზაშიც ვერ მოხვდნენ) მათი შემოსავალი 75 ლარს შეადგენდა.

პრობლემების მოგვარება ნელ-ნელა, მა-გრამ მაინც დაიწყო. ოჯახში დაბრუნდა დედა, ფონდმა „იავნანამ“ სახლი შეუძინა მათ. მა-გრამ ერთ დღესაც დედა ისევ წავიდა, უფრო-სი და, რომელიც ბავშვებს უწვლიდა, გათხოვდა

თან ერთად მოამზადა დოკუმენტური ფილმი რ.მ.-ს შესახებ. ორგანიზაციის ინიციატივით ხელისუფლებასთან სხვადასხვა დონეზე მოენ-ყო შეხვედრები, თუმცა 3 წლის განმავლო-ბაში გამოსავალი ვერ მოიძებნა. ოჯახის შე-მოსავალი ყოველთვიურად 125 ლარი სოცია-ლური დახმარებაა, რასაც იშვიათად ემატება სხვადასხვა ტიპის ერთჯერადი დახმარებები, რომლებიც, ბუნებრივია, მათ პრობლემებს ვერ მოაგვარებს.

ოჯახში სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმე-ბულია. სახელმწიფოში ვერ მოიძებნა სერვი-სი, რომელიც ამ ოჯახის საჭიროებას უზრუნ-ველყოფს.

სამუხაროა, მაგრამ ვცხოვრობთ ქვეყანა-ში, სადაც ხელისუფლებას მსგავსი ისტორიე-ბის მოსმენის დროს, მხოლოდ ნუხილი შეუ-ძლია გამოსატოს.

მოცემულ ეტაპზე ოჯახი კვლავ შეის-წავლეს, ხოლო სახელმწიფო სტრუქტურები კი ფიქრის პროცესში არიან.

მოდმივად არსებობს დაუცველობის შე-გრძნობა, რომ ცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც შენი უფლებები დაცული არ არის და საჭიროების შემთხვევაში თუ შესაბამისი სერვისი ვერ მოი-ძებნა ან გაგიმართლებს ან არა.

მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ნაბი-ჯები გადაიდგა ამ ოჯახების სიტუაციის გა-მოსწორების კუთხით, საბოლოოდ მათი პრო-ბლემები მაინც ვერ მოგვარდა.

კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ოჯახის გან-ვითარებაში ჩართული იყო ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანი-ზაციები, ეკლესიის წარმომადგენლები, სახელმწიფო სტრუქტურები, მათ ისტო-რიებს მაინც ასეთი დასასრული ჰქონდა.

სწორედ იმის თქმა გვინდა, რომ ჩვენს ქვე-

არიან ადამიანები, რომლებზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული, ბავშვის საჭიროების გამოვლენა, დადგენა არის თუ არა ის ძალე-დობის მსხვერპლი და ა.შ ამიტომაც ისინი ძალიან კვალიფიციურები უნდა იყვნენ, ასევე მნიშვნელოვანია მათ ჰქონდეთ ფინანსური მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან, რათა შეძლონ ოჯახებში ხშირი ვიზიტების გახორ-ციელება. ჩვენი ინფორმაციით ამ ეტაპზე მათ ხელფასის ზეით არასაკმარისი თანხა ეძლე-ვათ ბავშვის ოჯახში ვიზიტისთვის.

ასევე მნიშვნელოვანია მუდმივად უტარ-დებოდეთ მონიტორინგი მათ საქმიანობას.

• საჭიროა, დაინერგოს ადგილობრივ დო-ნეზე კონფერენციები ბავშვთა უფლებების საკითხებზე, რათა სოც.მუშაკებს მიეცეთ შე-საძლებლობა ერთმანეთს გაუზიარონ გამოც-დილება.

• დაინერგოს თანამშრომლობა სოც.მუ-შაკებსა და საჯარო სკოლებს შორის ასევე მნიშვნელოვანია:

- განვიგროს ინდივიდუალურ ქეისებზე სამართლებრივი პროცედურები, რათა ჩიხ-ში არ შევიდეს კონკრეტული სიტუაციების მართვა, როგორც მოხდა ჩვენ წარმო-დგენილ კონკრეტული ქეისის დროს
- ბავშვზე ზრუნვის სააგენტომ სოც. მუშაკების ინსტიტუტის არსებობის შესახებ ინფორმაცია უნდა გაავრცელოს სხვადასხვა საშუალებებით (სკოლებში, ადგილობრივ სა-მთავრობო სტრუქტურებში, საზოგადოების წარმომადგენლებში).

ალსანიშნავია, რომ კონფერენციის შემდ-გომ მეტ-ნაკლებად მოგვარდა სტატიაში მო-ყვანილი ბავშვების პრობლემები.

ვერიკო მელუა
ანა დოლიძე

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

ბოლო დროს საკმაოდ გახშირდა არასრულწლოვანთა დანაშაული. ამ პრობლემის გადწყვეტის გზებზე საკმაოდ ბევრს კამათობენ. მედიაშიც ხშირად საუბრობენ ამ თემაზე. სტატისტიკაც ამ მხრივ ძალიან ცუდია. 2009 წლის 9 თვის განმავლობაში (სამწუხაროდ უფრო ახალი სტატისტიკური მონაცემები შ.ს.ს-ს არ გააჩნია) გასამართლებული იქნა 579 არასრულწლოვანი აქედან 77 არასრულწლოვანი (13,3%) გასამართლებული იქნა მძიმე კატეგორიის დანაშაულისთვის, 329 (56,8%) არასრულწლოვანი გასამართლდა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის, 14 (2,4%) ნარკოტიკებთან დაკავშირებით ჩადენილი დანაშაულისთვის, 34 (5,8%) ხულიგნობისთვის, ხოლო 125 (21,5%) არასრულწლოვანი გასამართლებულ იქნა სხვა სახის ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის.

ცხოვრების მოწყობაც უჭირთ. სწორედ ამ გარემოებების გამო 18 წლის დ.მ.-მ თავის მოკვლა სცადა, მართალია გადაარჩინეს, მაგრამ მისი მდგომარეობიდან გამოყვანას უამრავი ფსიქოლოგი და წელი დასჭირდება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ მოზარდს განსაკუთრებული აღზრდა და სითბო სჭირდება, რაც ციხეში ვერ მიიღწევა, რაც არ უნდა პირობები იყოს იქ. ყოველ შემთხვევაში საქართველოში დღეს არსებული მდგომარეობა ამაზე მიუთითებს.

გარდა ამისა, ზრდასრული ადამიანის და ბავშვის მიერ ჩადენილი დანაშაულს ერთნაირად ვერ განვიხილავთ. როცა საქმე ბავშვებთან გვაქვს, აუცილებელია გავიგოთ დანაშაულის გამომწველი მიზეზები. უნდა ვიცოდეთ რამ უბიძგა ბავშვს დანაშაულისკენ. ზოგადად, მოზარდის დანაშაულზე ქვევამი ბრალი შეიძლება არამარტო თავად

ფსიქოლოგის რჩევები. ან/და სასამართლოში განყოფილება მინც უნდა შეიქმნას, რომელიც მხოლოდ ბავშვებზე იმუშავებს. არ არის აუცილებელი ყველა დანაშაულზე ბავშვი ციხეში გაუშვავთ. სკოლის გარდა, შეიძლება შეიქმნას ფსიქოლოგიური ცენტრები, სადაც ბავშვები და მათი მშობლებიც (თუ რა თქმა უნდა ამის საჭიროება დადგება) გაივლიან სარეაბილიტაციო კურსებს. იმ შემთხვევაში, თუ დანაშაული მძიმეა და მისი ციხის გარეშე დატოვება შეუძლებელია, ციხეში უნდა მუშაობდნენ პროფესიონალი ფსიქოლოგები. სასჯელის მოხდის ბოლო წლებში უნდა მოხდეს მათი გარემოსთან ადაპტაცია, ამ მიზნით უნდა ჩატარდეს შესაბამისი ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს მათ ინტეგრაციას გარე საზოგადოებასთან. ანუ ისე, როგორც დღეს ხდება, სასჯელის მოხდისთანავე გიოსოსებიდან პირდაპირ ქუჩაში არ უნდა აღმოჩნდეს ახალგაზრდა. ამ შემთხვევაში იგი კვლავ ძველ გარემოს უბრუნდება და უფრო მეტად გამოცდილი ერთგება კრიმინალურ ცხოვრებაში.

მაგალითად, მინდა ერთ კონკრეტული ისტორია გიამბოთ: ნ.გ. 16 წლის იყო პირველად რომ მოხვდა ციხეში ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის გამო, იქ გარკვეული წლები გაატარა. სასჯელის მოხდის შემდეგ ისევ დაუბრუნდა ქუჩის ცხოვრებას, ერთ დღესაც მეგობრებს "საქმეზე" გაჰყვა, მალაზია გაძარცვეს, გამყიდველი შემოაკვდათ ნ.გ.-ს კი გარდა იმისა, რომ სხვისი სიცოცხლე შეინირა უკვე ხანგრძლივი პატიმრობა მიესაჯა.


რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ის თუ რა უნდა გავაკეთოთ მამინ, როცა დანაშაული უკვე ჩადენილია, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი დანაშაულის თავიდან აცილებაა და ამაზე უნდა ვიზრონოთ თითოეულმა ჩვენგანმა.

ვფიქრობ, რომ გამოსავალი შემდეგია: 1. სკოლებში უნდა მუშაობდნენ პროფესიონალი ფსიქოლოგები და მათ უნდა მიეცეთ გარკვეული საათები ბავშვებთან სამუშაოდ.

2. უნდა ჩატარდეს სხვადასხვა სახის აქციები ყველა ასაკის და პროფესიის ადამიანებისთვის, რათა გაიგონ როგორ უნდა აირიდონ თავიდან ბავშვის დანაშაულზე აღზრდა და ის თუ როგორ უნდა მოიქცნენ აგრესიულ ბავშვებთან.

3. ტელეარხის საშუალებით (მაგ. საზოგადოებრივ მაუწყებელზე) უნდა დაიწყოს სახალისო გასართობი სერიალი (შეიძლება ანიმაციური) ან თუნდაც თოქ-შოუ სადაც ბავშვები გაიგებენ რა არის დანაშაული, გაანალიზებენ რა მოყვება მას თუნდაც იმ შემთხვევაში, როცა მის ბრალულობას ვერაინ დაამტკიცებს ან გაიგებს. ასე ვთქვათ თამაშით ისწავლიან კანონებს, გაანალიზებენ კანონდარღვევით გამოწვეულ პრობლემებს. ხოლო როცა ადრეული ასაკიდან ექნებათ გაცნობიერებული ეს ყველაფერი, უფრო ნაკლებად იქნებიან დანაშაულისკენ მიდრეკილები.

თამარ ხუხია



პრობლემა რომ მწვავედ, უფრო სწორად ძალიან მწვავედ დგას, ამაზე არავინ დავობს, მაგრამ საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლები - ექსპერტები, ფსიქოლოგები, მთავრობის წარმომადგენლები, იურისტები თუ უბრალო მოქალაქეები სხვადასხვაგვარად უყურებენ ამ საკითხს. ზოგი ფიქრობს, რომ დანაშაულს ასაკი არ ამართლებს და იგი დანაშაულის სიმძიმედან გამომდინარე უნდა დაისაჯოს, რათა მომავალში ამგვარად აღარ მოიქცეს. ზოგი კი უფრო ლიბალურია და ბავშვის ციხეში გამოკეტვა დაუშვებლად მიიჩნია. ფიქრობენ, რომ ციხე "ჭკუის სასწავლებელი" ადგილი არაა და უარესიც, ეს ყველაფერი ბავშვის ჩამოყვალბებელ ფსიქიკაზე ძალიან იმოქმედებს და კიდევ უფრო გაუმძაფრებს დანაშაულისკენ მიდრეკილებას.

მართლაც, არის კი გამოსავალი ბავშვის სასჯელადსრულების სისტემაში გამოკეტვა? თუ იგი ნაკლებ ეფექტურია, რადგან ეს პრინციპი მიშზე დაფუძნებული. შიში კი დროთა განმავლობაში გაივლის და მოზარდი, რომელსაც გაუცნობიერებელი აქვს თავისი დანაშაული ისევ გაიმეორებს იგივეს ან უფრო მძიმე დანაშაულს ჩადენს. გამოდის რომ პრობლემა პრობლემად რჩება. ამიტომ ვფიქრობ, რომ მხოლოდ ციხეში გამოკეტვა საქმეს ვერ უშველის. ეს მხოლოდ თავის მოტყუება იქნება და მეტი არაფერი. ციხეში ბავშვს დანაშაულებთან ექნება უურთიერთობა და შეიძლება ამან უარესი შედეგი გამოიღოს, რადგან ციხე ცუდ ზეგავლენას იქონიებს მასზე.

არასრულწლოვანს ციხიდან გამოსვლის შემდეგაც ექნება პრობლემები, რადგან საზოგადოება ჯერ კიდევ არ არის მზად მიიღოს იგი, როგორც სრულფასოვანი წევრი. ციხიდან გამოსვლს ეჭვის თვლით უყურებენ და ეს ართულებს მის საზოგადოებაში ხელახალ ინტეგრაციას. პრობლემები არც მამინ მთავრდება, როცა ყოფილი პატიმრები სრულწლოვნები ხდებიან. ისინი უმეტესად ვერც სამუშაოს პოულობენ და პირადი

მას მიუძღვრად არამედ: ოჯახს, საზოგადოებას, სკოლას, სახელმწიფოს. საკითხს თუ უფრო ჩაუღრმავებდით, რამდენიმე ძირითადი ფაქტორის გამოკვეთას შევძლებთ. ესაა ოჯახში ძალადობა, მშობლების მხრიდან ბავშვების მიმართ უყურადღებობა, მშობლის ალკოჰოლზე ან ნარკოტიკზე დამოკიდებულება, თანასკოლელებთან დაპირისპირება, გარემოში მყოფი უფროსების გულგრილობა ან შიშველმზრუნველობაც კი. უმთავრესია სოციალური გარემო, სადაც ბავშვი იზრდება - სახლი, სკოლა, საზოგადოება. ბავშვი მოძალადედ და დანაშაულზე არ იბადება, იგი დროთა განმავლობაში ხდება ასეთი. მხოლოდ ძალიან იშვიათ შემთხვევაში შეგვიძლია ბავშვის ფსიქოპათოლოგიაზე საუბარი. სწორედ ამიტომ თითოეული ბავშვი დაპატიმრებამდე სერიოზულად უნდა შეისწავლონ ფსიქოლოგებმა, სოციალურმა მუშაკებმა და ა.შ. უნდა დაადგინონ საიდან იღებს სათავეს ეს ყველაფერი და შემდეგ შეიძლებისდაგვარად დაეხმარონ მას. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, ის გარემოება, რომ რეგიონებში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ფსიქოლოგთა კვალიფიკაცია. საჯარო სკოლებში ვერ შეხვდებით კვალიფიციურ ფსიქოლოგებს, ვინც მუშაობდა ამ მიმართულებით, ისინი ძირითადად სხვადასხვა საგნების მასწავლებლები იყვნენ.

პრობლემა, რომ მოგვარდეს ჯერ კიდევ სკოლაში უნდა გატარდეს ამის პრევენცია. უკვე ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში კი საკანონმდებლო და სასამართლო სისტემა უნდა იყოს იმდენად განმართული, რომ უარესი დანაშაულისკენ არ ვუბიძგოთ მათ. უნდა არსებობდეს სასამართლოები ან უკიდურეს შემთხვევაში მოსამართლეები, რომლებიც მხოლოდ არასრულწლოვანთა საქმეებს განიხილავენ, ამ მოსამართლეებს, გარდა სამართლებრივი ცოდნისა უნდა ექონდეთ ფსიქოლოგის განათლება. მოსამართლეს უნდა შეეძლოს განსაზღვრა - რა შედეგები მოჰყვება მის ამ გადაწყვეტილებას. აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს



არის თუ არა ღალატი პროფესიულ საჯაროდ საუბარი ?!

როგორი მოქალაქის აღზრდას ისახავს მიზნად საჯარო სკოლები; რამდენად უწყობს ხელს განათლების სისტემა სამოქალაქო ღირებულებების გავრცელებას; სამოქალაქო განათლების მნიშვნელობა; სკოლაში გავრცელებული სტერეოტიპები, დემოკრატიული სკოლის მნიშვნელობა — ამ თემებზე სასაუბროდ ლიდერთა სკოლის სატელევიზიო რუბრიკით „სტერეოტიპები და პროგრესი“ მორიგი გადაცემის ჩანერა გახორციელდა. მოზარდების შეკითხვებს ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის ხელმძღვანელი, საჯარო სკოლების დირექტორები, სამოქალაქო განათლების პედაგოგები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები პასუხობდნენ.

ლიდერთა სკოლის მოსწავლეებმა თოქ-შოუ ოზურგეთის საჯარო სკოლებში ჩატარებული კვლევის შედეგების გაცნობით დაიწყეს – მათ საკუთარ სკოლებში სამოქალაქო განათლების საგნისადმი უფროსკლასელთა განწყობა გამოიკითხეს: მოზარდების ინფორმაციით, თანატოლების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სამოქალაქო განათლება, როგორც საგანი, მეორეხარისხოვანია და თითქმის არ ტარდება. ზოგიერთმა მოსწავლემ საერთოდ არ იცის ამ ვაკეეთილის დანიშნულება და არ ესწრებიან მას. ეს ფაქტები მოწვეულმა სტუმრებმა გააპროტესტეს, განაწყენებული სტუმრები აღნიშნავენ, რომ მათ სკოლაში სამოქალაქო განათლების გაკვეთილები პირველ-მეორე ვაკეეთილად აქვთ ცხრილში, თან არც სხვა ვაკეეთილ-ებით ხდება მისი ჩანაცვლება,

მათ ეჭვიც კი გამოთქვეს წარმოდგენილი კვლევის ობიექტურად ჩატარებაში, ზოგიერთი დირექტორი დარწმუნებით აცხადებდა: „დარწმუნებული ვარ, ჩემი სკოლის მოსწავლეები არ მონაწილეობდნენ ამ გამოკითხვაში, მეწყინა კიდეც, ასე რომ ილაპარაკეთ, პირიქით, მოსწავლეებში ძალიან დიდი დაინტერესება და გამოხმაურება აქვს ამ საგანს“. მაგრამ ბავშვები თავის პოზიციაში აღნიშნავენ: „მოლოდინი დიდი იყო თავიდან, მაგრამ მერე ბავშვებში ნელ-ნელა დაინტერესებამ იკლო... გვეგონა, რომ ეს გააქტიურებდა და გვეცხმარებოდა, მაგრამ ბოლოს იმედები გაგვიცრუვდა თან მე-6-7 ვაკეეთილზე გვქონდა და ჩვენც დაღლილები ვიყავით.“.



ეს არ იყო ერთადერთი საკითხი, როდესაც მოზარდები და უფროსები კატეგორიულად სხვადასხვა პოზიციაზე იდგნენ. თუმცა მთავარი პრობლემა, რომელიც თოქ-შოუს მსვლელობის დროს გამოიკვეთა გახლდათ ის, რომ უფროსებს (პედაგოგებს, დირექციის წარმომადგენლებს) უჭირთ მოსწავლეების მხრიდან სკოლების შესახებ კრიტიკული მოსაზრებების მოსმენა, ჯერ კიდევ „ღალატად“ აღიქმება სკოლის პრობლემებზე საჯაროდ საუბარი.

კითხვაზე – რამდენად არის მზად დღეს საჯარო სკოლები და მთლიანად განათლების სისტემა სამოქალაქო ღირებულებების გავრცელებას შეუწყოს ხელი და რამდენად უდევს განათლების სისტემას საფუძვლად სამოქალაქო ღირებულებები? – პასუხები არაერთგვაროვანი გახლდათ: მოსწავლეები მიიჩნევენ, რომ „სამწუხაროდ, დღეს ჩვენი სკოლები არ არიან მზად სამოქალაქო ღირებულებების განვითარებას ხელი შეუწყონ, განათლების სისტემას იდეაში კი აქვს ამ ყველაფრის განვითარება, ეს სკოლები ტიპიურ წესდებებშიც წერია, რომ სკოლა ხელს უნდა უწყობდეს მოზარდში სამოქალაქო ღირებულებების ჩამოყალიბებას, მაგრამ ამას საჯარო სკოლები ვერ ახერხებენ“... რესურს ცენტრის უფროსის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგნაირად:

„ქვეყანა ჯერ ნაბიჯ-ნაბიჯ ცდილობს ცვლილებების გახორციელებას, აქედან გამომდინარე ჩვენ ვერ მოვთხოვთ სკოლას იმაზე მეტს, რაც დროს წინ გაუსწრებს, სკოლაც დროს და პროცესებს მიყვება და ვფიქრობ, რომ სკოლას, როგორც ცოცხალ ორგანიზმს, ნამდვილად აქვს სურვილი, რომ სამოქალაქო ღირებულებების მქონე, აქტიური მოქალაქეები და ღირსეული ადამიანები აღზარდოს ქვეყანას. ჩვენ უბრალოდ ერთი პრობლემა გვაქვს სკოლაში: ზედმინვნით კარგად არ ვაკეთებთ იმას, რასაც უნდა ვაკეთებდეთ - არ ვიცავთ კანონს, ვგულისხმობ კანონს ზოგადი განათლების შესახებ, ჩვენ არ ვსჯით დასასჯელს, ეს თუნდაც იყოს მოსწავლე ან მასწავლებელი. არ ვართ სამართლიანები, რაც ყველაზე მთავარია სკოლაში ვთვლი, რომ უნდა იყოს სამართლიანი მიდგომა - კარგს უნდა ერქვას კარგი, ავს უნდა ერქვას ავი, იქნება ეს მოსწავლე თუ მასწავლებელი“...

თოქ-შოუ გადაიცემა ტელეკომპანია „გურიას“ ეთერით.

მისი სრული ვერსია ასევე შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე www.apk.ge

იზი მგელაძე
ნათია მყავია

პრეზენტაცია ადვოკატირების პროგრამის ფარგლებში

გურიის მოსწავლეთა რეგიონული პარლამენტის ინიციატივით „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ოფისში კონფერენცია გაიმართა.

კონფერენციაში მონაწილე მოსწავლეებმა ადვოკატირების პროგრამის ფარგლებში შეისწავლეს საკუთარ თემში მცხოვრები სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მქონე ოჯახების საჭიროებები, მოამზადეს შესაბამისი „ქეისების“ ამსახველი პრეზენტაციები, რომლითაც სპეციალურად შექმნილი კომისიის წინაშე მოუწიათ გამოსვლა.

კომისიის შემადგენლობაში გურიის რეგიონის სოციალური სამსახურების პირველი პირები, საკრებულოს თავმჯდომარეები და გუბერნატორის წარმომადგენლობა შედიოდა, თუმცა ხელისუფლების წარმომადგენლებმა „ვერ მოიცალეს“ და შეხვედრას მხოლოდ სოციალური მომსახურების სააგანტოს გურიის საკოორდინაციო ცენტრის



უფროსი ვასილ ხომერიკი, ცენტრის მოადგილე ვანო გოგოლაშვილი, და სააგენტოს ოზურგეთის განყოფილების უფროსი ოთარ რევიშვილი ესწრებოდნენ.

კონფერენციაზე სულ 11 ქეისი წარდგინა მოხდა.

მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენი-

ლი ოჯახების უმრავლესობა ჩართული იყო სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებში, მოზარდები თვლიდნენ, რომ შესაძლო იყო კონფერენცია მათთვის დამატებითი რესურსების მოძიების წყარო გამხდარიყო.

კომისიის გადაწყვეტილებით (რომელის შემადგენლობაში ზემოთ ხსენებული სამსახურების გარდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ექსპერტი ნინო ფეცვიანიშვილი და ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარე მარინა თოფურია შედიოდნენ) – ოჯახების საჭიროებები უნდა შეისწავლინ სოციალურმა მუშაკებმა და მათი დასკვნების საფუძველზე მოხდეს შესაბამისი რეაგირება, რათა გაუმჯობესდეს ბავშვების მდგომარეობა - საყოფაცხოვრებო და საგანმანათლებლო პირობები.

გვანცა ლომინაძე

პრესრელიზები

ლიდერი თუ იდეოლოგია?

„ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“ მესამე წელია ახორციელებს პროგრამას, რომლის ფარგლებში ლიდერთა სკოლის მოსწავლეებისთვის და რეგიონის საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან თემებზე საინტერესო შეხვედრები მიმდინარეობს.

ორგანიზაციამ ამ ეტაპზე სოციოლოგი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა მიმართულების ხელმძღვანელი ბატონი იაგო კაჭკაჭიშვილი მოიპატიჟა.

გამართა ორი შეხვედრა: პირველი ლიდერთა სკოლის მოსწავლეებისთვის, მოგვიანებით კი რეგიონის საზოგადოების წარმომადგენლებისთვის.

შეხვედრების თემატიკა წინასწარ იყო განსაზღვრული: „ლიდერი თუ იდეოლოგია“ და „სამოქალაქო ღირებულებები ქართული კულტურის ნაწილია“.

პირველ შეხვედრაზე მოზარდებს ბატონმა იაგომ წარუდგინა პრეზენტაცია: „სტუდენტთა ატიტუდები ნარკომანიის, აივ/შიდსის, უსაფრთხო სექსისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ“. პრეზენტაციაში განხილული იყო ის არასასურველი სტატისტიკა, რაც ჩვენს ქვეყანაში ნარკომანიისა და შიდსის გავრცელებას უკავშირდება. ყურადღება გამახვილდა იმ უარყოფით მოსალოდნელ შედეგებზე, რაც ნარკოტიკის მოხმარებას უკავშირდება.

შეხვედრის ძირითადი ნაწილი

თანამედროვე საზოგადოების კრიტერიუმებზე, მოდერნიზებული და არამოდერნიზებულ საზოგადოებებს შორის არსებულ განსხვავებებზე, დემოკრატიის სიბლზე მსჯელობას დაეთმო. მოზარდებმა გამოთქვეს საკუთარი შეხედულებები თანამედროვეობასთან დაკავშირებით, ასევე ისაუბრეს იმის შესახებ, თუ სად გადის ზღვარი თავისუფლება და თვითნებობას შორის.

ბატონმა იაგომ მოზარდებს ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგის რობერტ ნერტონის თვალსაზრისი „დევიაცია და სოციალური კონტროლი“ გააცნო: საზოგადოებაში არსებობს უამრავი მოთხოვნილება, რომელიც დაკმაყოფილებას საჭიროებს – განათლების, შემეცნების, ოჯახის შექმნის, ასევე ვიტალური (ბიოლოგიური), სექსუალური, საკუთრებისა და ძალაუფლების მოთხოვნილება. ნერტონის აზრით, მოდერნულ და არამოდერნულ საზოგადოებას შორის განსხვავება მოთხოვნილებების რეალიზებაშია, კონკრეტულად კი, მოდერნულ საზოგადოებაში მოთხოვნილებების რეალიზება უზრუნველყოფილია ალტერნატიული სოციალური ინსტიტუტების მეშვეობით, ესა თუ ის კულტურული ღირებულება სავალდებულო არ არის, არამოდერნულ საზოგადოებაში კი მხოლოდ ერთია დომინანტი ინსტიტუტი და კულტურული ღირებულებებიც საყოველთაოა. საუბარი სამოქალაქო ღირებულებებს და მათ მიმართ



ქართული საზოგადოების დამოკიდებულებას შეეხო. პაციფიზმი (უარის თქმა ძალადობრივი მეთოდების გამოყენებაზე) – ქართულ საზოგადოებაში ასეთი კატეგორიის ადამიანების მიმართ დამოკიდებულება არცთუ სახარბიელოა, თუმცა არსებობს ღირებულებები, რომელიც აშკარად ქართული კულტურისთვისაა დამახასიათებელი: მაგ: თემის ჩართულობა, იგივეა, რაც გურულებისთვის – ნადი.

ასევე საინტერესო იყო დისკუსია ლიდერისა და იდეოლოგიის ირგვლივ, ვიცით თუ არა როგორი ლიდერი გვჭირდება, საქართველოში რა განაპირობებს მოქალაქის არჩევანს ლიდერი თუ იდეოლოგია? და ა.შ.

ბატონმა იაგომ ერთი საინტერესო კვლევის შედეგები გააცნო მოზარდებს, როგორც

აღმოჩნდა ჩვენს ქვეყანაში ბოლო გამოკითხვების მიხედვით არჩევანის გაკეთება საარჩევნო პროცესში მისხედვით ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა. წინა პლანზე გამოდის შემდეგი მოტივები: პოლიტიკური პარტიების ლიდერთა ემოციური გამოხატვები; ლიდერის რიტორიკა; გარეგნობა და სხვ. რაც ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ ჩვენში პოლიტიკური არჩევანისას გადამწყვეტი როლი პოლიტიკოსის ქარიზმატულობას ენიჭება. განვითარებული ქვეყნებში ეს უკანასკნელი ერთ-ერთ სუსტ მოტივადაა შეფასებული. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა კულტურებში სხვადასხვა ტიპის ლიდერებს ირჩევენ.

თემო გაბუნაჯა

„ტრაგედია უგმიროდ №...“

ლიდერთა სკოლის ინტერაქტიური თეატრის ჯგუფის მიერ მომზადებული სპექტაკლს „ტრაგედია უგმიროდ №...“ საზოგადოების მხრიდან დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

სპექტაკლის სიუჟეტი ნაწილობრივ დოკუმენტურ მასალაზეა აგებული და ეხება ოჯახს, რომელსაც ეკონომიკური და სოციალური პრობლემები აქვს (მსგავსი ისტორიები ალბათ ბევრია სხვადასხვა სოფელსა თუ დაბაში), მონაწილეების მიზანს წარმოადგენლი კონკრეტული პრობლემების განზოგადება და მსგავს სიტუაციებში ცვლილებების განხორციელება წარმოადგენდა. რასაც მიაღწიეს კიდევ, როდესაც სპექტაკლის დასრულების შემდეგ კონკრეტული სცენების გათამაშება ხდებოდა.

სპექტაკლის ჩვენება აპკ-ს თითქმის ყველა პარტნიორ სკოლებში გახორციელდა.



გურული ყაბალახებისა და მოხატული კოპაეპის გამოფენა-გაყიდვა

„ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ დარბაზში ლიდერთა სკოლის მოსწავლეებმა გურიის საზოგადოება საინტერესო გამოფენა-გაყიდვაზე მიიპატიჟა. მსგავსი აქციები „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირში“ მეთხუთსეული წელია ტარდება. ლიდერთა სკოლის მოსწავლეები სხვადასხვა ტიპის პროდუქციას აწარმოებენ, რის შემდეგაც ეწყობა წარმოებული პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა. მოზარდებმა, მონვეულ სტუმრებს გურული ყაბალახები და მოხატული კოპაეპები წარუდგინეს. აქციის ფარგლებში შემოსული თანხა ორგანიზაციის სოციალური პროგრამების გახორციელებას მოხმარდება.



შხევედრა მწერლებთან

ლიდერთა სკოლის სასწავლო პროგრამის ფარგლებში, „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“ მწერლებს დათო ტურაშვილს, ანა სამადაშვილსა და პოეტ გიორგი კვეცილიძეს მასპინძლობდა.

შეხვედრის მიზანი საზოგადოების სამოქალაქო ცნობიერების განვითარება გახლდათ. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაცია ამ მიმართულებით უკვე მეექვსე შეხვედრას ატარებს.

მწერლებმა ისაუბრეს ლიტერატურის, წიგნის როლისა და დანიშნულების, ხელოვნების დეცენტრალიზაციის (რეგიონების ჩართულობა), ცენზურისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ.

შეხვედრის მეორე ნაწილი ქალბატონ ანა სამადაშვილის ლექციას დაეთმო, რომელიც ადამიანის სოციალურ როლსა და დანიშნულებას ეხებოდა.



პრინციპები

ზაფხულის სკოლის პროგრამა ამჯერად ბათუმში გახორციელდა

ლიდერთა სკოლის მოსწავლეები ზაფხულის სკოლის პროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმში გაემგაზვნენ.

პირველი დღე გაზეთ „ბათუმელების“ მთავარ რედაქტორთან ქალბატონ ეთერ თურაძესთან შეხვედრას დაეთმო.

ჩატარდა საინტერესო მასტერკლასი:

- რა ფუნქცია აკისრია ჟურნალისტს;
 - როგორ უნდა აიგოს საგაზეთო სტატია და სატელევიზიო სიუჟეტი ისე, რომ არ დაირღვეს ადამიანის, ბავშვის უფლებები;
 - რა შემთხვევაში უსმენენ ჟურნალისტს;
 - როგორი მასალა არ შეიძლება მოამზადოს ჟურნალისტმა;
 - ჟურნალისტმა გამოაქვეყნოს უნდა თუ არა საიდუმლო ინფორმაცია;
 - სიუჟეტის აგების წესი და ეთიკური ნორმები;
 - როგორია ჟურნალისტის ეთიკური ნორმები;
 - სოციალური ქსელების მნიშვნელობა ინფორმაციის გავრცელების კუთხით;
 - მედიაკრიტიკოსების როლი ჟურნალისტის განვითარების საქმეში;
 - ბლოგების შექმნა.
- საუბარი შეეხო ასევე მასმედიის წარმომადგენლების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებას. ეთიკის ქარტიის როლსა და ფუნქციას მედიის განვითარების საქმეში.

ზაფხულის სკოლის მომდევნო დღეები კონკრეტულად ბავშვთა უფლებებს დაეთმო.

ბავშვთა უფლებების შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ბავშვისა და ქალის უფლებათა ცენტრის უფროსმა ანა არგანაშვილმა და ცენტრის იურისტმა ანა აბაშიძემ ტრენინგი ჩაატარეს.



ტრენინგებმა მოზარდებთან ერთად დეტალურად განიხილეს საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ ის ნაწილი, რომელიც საჯარო სკოლებში მოსწავლეთა და მოსწავლეებთან უფლებების დაცვას ეხება, ასევე სკოლის შინაგანაწესისა და მოსწავლეთა ქცევის კოდექსის ცალკეული მუხლები.

მოგვიანებით საუბარი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონის ირგვლივ გაგრძელდა.

მოზარდები საკუთარი პრაქტიკიდან კონკრეტული მაგალითებს იხსენებდნენ და ექსპერტებთან ერთად მსჯელობდნენ ძალადობის კვალიფიკაციასა და ფორმებზე.

ზაფხულის სკოლის ბოლო დღე ბათუმის პროკურორთან შეხვედრით დაიწყო, რომელმაც მოზარდებს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაზე ესაუბრა და ასევე წარადგინა განრიდებისა და მედიაციის პროგრამა.

კესო გვარჯალაძე, ანა იორაშვილი



შეხვედრა ამერიკის ელჩთან

2011 წლის 3 მაისს „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ოფისში აშშ ელჩი საქართველოში ბატონი ჯონ ბასი რეგიონის მასმედიის წარმომადგენლებს შეხვედა, მათ შორის „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ლიდერთა სკოლის გაზეთ „რევას+1“ რედაქციის წევრებს.

თამუნა ხუხია „რევას+1“: „კრიტიკის მოსმენა არავის სიამოვნებს, ამ სიტყვას ყველა ნეგატიურ კონტექსტში გამოიყენებს, თქვენ როგორ რეაგირებთ როდესაც გაკრიტიკებენ?“

ჯონ ბასი: „დიდი მადლობა ამ კითხვისთვის, ვფიქრობ, თქვენ უკვე ხართ შემდგარი ჟურნალისტი და ნებისმიერ გაზეთისთვის სასურველი თანამშრომელი.“



ზოგადად მთავრობის წევრები და სახელმწიფო სამსახურში მყოფი ადამიანები ვალდებული არიან მიიღონ კრიტიკა, ზოგიერთს, გეთანხმებით, ეს ალიზიანებს. მე, როგორც ამერიკის მთავრობის წარმომადგენელი, ყოველთვის ვისმენ, როდესაც მაკრიტიკებენ და ვფიქრობ, რა გამოვასწორო, ან კიდევ შეეცვალო. ასევე აუცილებლად შევეცდები გავარკვიო კრიტიკული მოსაზრებები ვინმეს ინტერესებს ხომ არ ემსახურება და საბოლოოდ თუ ეს კრიტიკა ჯანსაღია, მე მას აუცილებლად გავითვალისწინებ“.

თემურ გაბეჩავა „რევას+1“: „თუ გაქვთ შესაძლებლობა გაეცნოთ რეგიონულ გაზეთებს და როგორი იქნება თქვენი შეფასება?“

ჯონ ბასი: „მე კარგად არ ვიცი ქართული და შესაბამისად ვერ ვახერხებ ქართული გაზეთების კითხვას, თუმცა როდესაც ვიზუალურად ვათვალიერებ, კარგად შემიძლია გავარკვიო რა სახის ინფორმაციაა განთავსებული, რა პრობლემები აქვს ქართულ მედიას. ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი ამ მიმართულებით“.

შეხვედრის დასასრულს ბატონმა ელჩმა ნაახალისა ახალგაზრდა ჟურნალისტები, შეხვედრაში მონაწილეობისთვის და აქტიურობის გამო მათ განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა.



ტირაჟი – 500 ცალი

რედაქციის მისამართი: თ. ხუხია, ა. დოლიძე, ვ. მელუა, ნ. მჟავია, ი. მეგლაძე, თ. გაბეჩავა, გლომინაძე; კ. გვარჯალაძე, ა. იორაშვილი, ლ. სიხარულიძე, დ. კვასტანი, თ. გაგელიძე, ა. ნაკაიძე, ნ. თაყაიშვილი, ი. ბერიძე, მ. ანდლუაძე.

ოფისის მისამართი
გაბრიელ ჯანსოკოშვილის ქ. № 3ა
ტელ.: 7 64 34 მოზ.: 893 33 23 17
გაზეთი აიწყო და დაიბეჭდა
ქ. თბილისში, გამოცემის
„ვატიტი“